

**ოქმი N9**  
**ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულოს ბიუროს სხდომის**

**2017 წელი, 25 აპრილი**  
**ქ. ოზურგეთი, 15<sup>00</sup>სთ**

**ესწრებოდნენ:** თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: ნ. გოგუაძე,  
 კომისიების თავმჯდომარეები: ლ. ბიგვავა, ი. საჯაია, ნ. ტაბატაძე, ლ. თოიძე.  
 ფრაქციის თავმჯდომარეები: თ. ნადირიძე, თ. სალუქვაძე, კ. კვაჭაძე,  
 ნ. ორაგველიძე.

**არ ესწრებოდნენ:** მ. მახარობლიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ ქალაქის მერი, მერიის პასუხისმგებელი პირები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი გ. მახარაძე.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** ნ. გოგუაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი:** ნინო გოგუაძე

**თანამომხსენებელი:** ლავრენტი ბიგვავა

**მომხსენებელმა ლ. ბიგვავამ** სხდომაზე დამსწრეთ გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის შესახებ. აღნიშნა, რომ 2016 წლის ბიუჯეტის ყველა პარამეტრი შესრულებულია, ასევე გაზრდილია ადგილობრივი შემოსავლები. პროექტი შეფასდა დადებითად და ითხოვა საკითხი დასამტკიცებლად გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**აზრი გამოთქვას:** თ. სალუქვაძე - ჩვენ ეს საკითხი ძირეულად განვიხილეთ ერთობლივად, ვეთანხმებით დასკვნაში მოცემულ შენიშვნებს. თუმცა საბოლოო ჯამში ბიუჯეტის შესრულება დამაკმაყოფილებელია.

**გ. მახარაძე** - ადგილობრივი შემოსავლების ზრდის ტემპის საფუძველი რა არის, რასთან შეფარდებითია?

ლ. ბიგვავა - საბაზო საფუძველი არის 2014 წლის ბიუჯეტი.

2. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების წესების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებლები: ლევან თოიძე  
ირინე საჯაია**

**მომხსენებელმა ი. საჯაიამ** დამსწრეთ გააცნო საკითხთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციის წარმოების პერიოდში შემოსული შენიშვნები.

**აზრი გამოთქვეს: ნ. გოგუაძე** - ჩვენ ვთავაზობთ რედაქტირებას, მე-3 მუხლის I-პუნქტს რომ დაემატოს „ბარი“ და „კაფე“, თუ შევთანხმდებით კარგია.

**გ. მახარაძე** - პროცედურული საკითხები გავიარეთ ორი კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე. შინაარსობრივი ცვლილებები პროცედურულად დაუშვებელია. თუ საკრებულოს 50%-ით მოსწონს პეტიცია, მაშინ შეიძლება დაბლოკოს, მაგრამ საკრებულომ კენჭი უნდა უყაროს ზუსტად იმ შინაარსით, როგორც შემოვიდა.

**ე. ჯაფარიძე** - განმარტა რედაქტირების აუცილებლობის საფუძვლები იურიდიულად. თუ პეტიციის ავტორებთან ვერ მოხდება შეთანხმება, მაშინ შეიძლება საკრებულოს სხდომაზე კენჭი ეყაროს მუხლობრივად, რა გადაწყვეტილებასაც მიიღებს საკრებულო, იქნება ისე.

**ბ. სიორიძე** - ეს ადამიანი ამბობს, როგორც შემოვიტანეთ, ისე დაგვიმტკიცეთ, თუ არა უარი თქვითო.

**გ. მახარაძე** - მე რომც ვეთანხმებოდე ამ ცვლილებას, უნდა ჩამოვიარო ის 200 ადამიანი, ავუხსნა ცვლილებების მიზანი და ხელახლა გავაკეთოთ ხელწერები.

**ლ. ბიგვავა** - რატომ შეიტანეთ პეტიციაში ისეთი მიზეზი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის თვითმმართველობის კოდექსთან?

**თ. სალუქვაძე** - მადლობა ამ ადამიანებს ამ კარგი დოკუმენტის მომზადებაში დახმარებისათვის, მაგრამ არ უნდა მივიღოთ ისეთი, რომელსაც ვერ გამოვიყენებთ, იქნებ დამატებით წავიმუშაოთ აღნიშნულ საკითხზე.

**გ. მახარაძე** - ამ საკითხის რედაქტირების შესახებ მე არ ვიყავი მზად. არ შეიძლება ამ დადგენილების არსებითი ნაწილის გამოცვლა. თქვენ ან უნდა მოიწონოთ ან თქვათ უარი.

**ნ. გოგუაძე** - პრინციპულია ზონების განსაზღვრის წესის მიღება.

**ბ. სიორიძე** - ვეთანხმები თ. სალუქვაძეს, პეტიციის მიღების წინააღმდეგი არც საკრებულო და არც მერია არ არის. დავხვეწოთ, თუ გვინდა საქმე გამოვიდეს, ისეთი სახით ნუ მივიღებთ, რომელიც საზიანო იქნება ჩვენი ქალაქისთვის.

**გ. მახარაძე** - თვითმმართველობის იდეა არის უშუალო კონტაქტი მოქალაქეებთან. საზოგადოებრივი დარბაზი და საერთო კრება არ შეკრებილა, პეტიციის პროცესი გულისხმობს, რომ წარმოდგენილი არ შეიცვალოს.

**ნ. გოგუაძე** - პეტიციას მივესალმებით, მაგრამ ნორმატიულ აქტს ვერ მივიღებთ ისეთს, რომელიც ეწინააღმდეგება თვითმმართველობის კოდექსს.

**თ. სალუქვაძე** - პეტიციის ავტორებისათვის პრინციპულია ის მუხლი, რომლის რედაქტირებასაც ვაპირებთ, ამიტომ მოვიდნენ იურისტები და გაგვარკვიონ.

**გ. მახარაძე** - საკრებულო ვალდებულია პეტიცია გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**ნ. გოგუაძე** - ხვალ საკითხი აუცილებლად გავა საკრებულოს სხდომაზე, რადგან დამთავრდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. კენჭი ვუყაროთ საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვას.

**გ. მახარაძე** - ითხოვა საკრებულოს სხდომაზე ინფორმაციის გაკეთების ნებართვა.

**დაადგინეს:** საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**დამტკიცდა ერთხმად**

**თ. ნადირიძემ დატოვა სხდომა**

3. ავტომობილების Mercedes-Benz (რეგისტრაციის ნომერი DD-782-FF გამოშვების წელი 2016 რეგისტრაციის თარიღი 29.03.2017წ.) და Mercedes-Benz (რეგისტრაციის ნომერი DD-783-FF გამოშვების წელი 2016 რეგისტრაციის თარიღი 29.03.2017წ.) ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სერვისცენტრისათვის არსებობის ვადით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებელი: მერაბ წივიწვაძე**

**მომხსენებელმა მ. წივიწვაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.**

**დაადგინეს:** საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**დამტკიცდა ერთხმად**

4. „მერების შეთანხმების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“- ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი**

**თ. ნადირიძე დაბრუნდა სხდომაზე**

**მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი.**

**დაადგინეს:** საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**დამტკიცდა ერთხმად**

5. „სსიპ თვითმმართველი ქალაქი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) ქონების - ქალაქ ოზურგეთში ა. წულაძის ქუჩაზე არსებული 329 კვ/მ (ს/კ 26.26.47.087 ); 330 კვ/მ (ს/კ 26.26.47.086) და 114 კვ/მ (ს/კ 26.26.47.144) ფართობის მიწის ნაკვეთების, პირდაპირი განკარგვის წესით, (იჯარის უფლებით), 20 წლის ვადით გაცემის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებელი: მერაბ წივიწვაძე**

**მომხსენებელმა მ. წივიწვაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.**

**აზრი გამოთქვას: თ. ნადირიძე - ავტოსადგურია თუ ავტოსადგომი?**

**თ. სალუქვაძე -** გადაიხდიან იჯარის გადასახადს, სადგომი იქნება ყველასათვის.

**ბ. სიორიძე -** სხვა ავტოსადგომები გაცემულია იჯარით, დარჩენილია ეს ადგილი, რომელსაც ითხოვს ავტოსადგურის მეპატრონე, თუმცა ჩემი აზრი იყო, რომ იქ ყოფილიყო ავტოსადგური, სადაც ძველად. მაგრამ მოსახლეობისთვის ეს ადგილი არის საუკეთესო ვარიანტი. თუკი მფლობელს აქვს ლიცენზია აღებული, ჩვენ ხელს ვერ შევუშლით.

**დაადგინეს:** საკითხი განსახილველად დაეწეროს კომისიებსა და ფრაქციებს **დამტკიცდა 8 ხმით**

**წინააღმდეგი: თ. ნადირიძე**

6. „ქალაქ ოზურგეთში, მაღაზონიას ქუჩაზე მდებარე 12 065 კვ/მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.26.54.059) ჩუქების ფორმით, სსიპ თვითმმართველი ქალაქი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღებისა (ს/კ 237113850) და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირებაზე“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებელი: მერაბ წივიწვაძე**

**მომხსენებელმა მ. წივიწვაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.**

**დაადგინეს:** საკითხი განსახილველად დაეწეროს კომისიებს და ფრაქციებს **დამტკიცდა ერთხმად**

7. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 სექტემბრის N61 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებელი: მამია მახარაძე**

**მომხსენებელმა მ. მახარაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.**

**აზრი გამოთქვას: თ. ნადირიძე - თუ ტერიტორია კერძოა, საგზაო ნიშნებს ვინ დადგამს?**

**ბ. სიორიძე - საგზაო ნიშნების დადგმა მერიის პრეროგატივაა.**

**დაადგინეს: საკითხი განსახილველად დაეწეროს კომისიებს და ფრაქციებს დამტკიცდა 8 ხმით**

**წინააღმდეგი: თ. ნადირიძე**

საკრებულოს სხდომა ჩატარდება 2017 წლის 26 აპრილს 12 საათზე

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბიუროს წევრებს და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**სხდომის თავმჯდომარე:**

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა